საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02|218

ქ. ბათუმი

07 დეკემბერი 2021 წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა გასაუბრებრის ადგილის, თარიღის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობ" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის MES 4210001254482 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N 01-02/190 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის N 01-02/212 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მ.შ.) 2021 წლის 07 დეკემბრის N1319449 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა გასაუბრებრის ადგილი და თარიღი **დანართი №1 შესაბამისად.**
2. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრება) და შეფასების (გასაუბრების) პროცესის ადმინისტრირების მიზნით შეიქმნას საგამოცდო და სააპელაციო კომისიები **დანართი №2 შესაბამისად.**
3. აპლიკანტთა შეფასება (გასაუბრება) განხორციელდეს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით **დანართი №3 შესაბამისად** (მაქსიმალური საკონკურსო ქულა - 100 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 51 ქულა).

3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს აპლიკანტთა დისტანციური მხარდაჭერა და მასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „განცხადებები" და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი") და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა გასაუბრების ადგილის, თარიღის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 07 დეკემბრის №01-02/218 ბრძანების დანართი №1

№	პროფესიული მომზადების პროგრამის დასახელება	აპლიკანტის შეფასების ფორმატი	შეფასების თარიღი და დრო	შეფასების ადგილი
1.	„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“	გასაუბრება	08.12.2021 12^{00}-15^{00}	Zoom პლატფორმა

,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა გასაუბრების ადგილის, თარიღის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 07 დეკემბრის №01-02/218 ბრძანების დანართი №2

პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრება) კომისია:

მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ცენტრის დირექტორის მ.შ., პროფესიული მომზადებისა დაპროფესიული გადამზადების კოორდინატორი - კომისიის თავმჯდომარე;

რეზო ვასაძე - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი;

ბიძინა კოჩალიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი;

ჯუმბერ აბულაძე - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;

რუსლან დავითაძე - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მონიტორინგის სამსახურის უფროსი, დამსაქმებელი.

,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა გასაუბრების ადგილის, თარიღის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 07 დეკემბრის №01-02/218 ბრძანების დანართი №3

აპლიკანტის შეფასების (გასაუბრების) კრიტერიუმები პროფესიული მომზადების პროგრამისათვის - ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“

№	აპლიკანტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	შეფასების კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა - 25)				ჯამი
			მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)	ხედვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით	ლოგიკური აზროვნების უნარი	კომუნიკაციის უნარი	
1							

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები: _____

_____

_____

_____

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):